**ხელშეკრულება №29/1**

გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

სოფელი კაბალი 29 ოქტომბერი 2018 წ.

ერთი მხრივ, სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბლის #1 საჯარო სკოლა (შემდგომში - შემსყიდველი) წარმოდგენილი მისი დირექტორის ლამარა ტაბატაძის სახით და მეორე მხრივ, შპს ,, პენსან ჯორჯია"(შემდგომში - მიმწოდებელი)წარმოდგენილი მისი დირექტორის გიგა გობიანიძის სახით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის 29 დეკემბრის N1233 ბრძანებით დამტკიცებული ,,სასკოლო აქტივობის ხელშეწყობის" პროგრამის (დაფინანსების წყარო- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს პროგრამა „სასკოლო აქტივობების ხელშეწყობის" (პროგრამული კოდი 32 02 12) ფარგლებში გათვალისიწნებული ექსტრაკულიკულარული წრის ჩატარების მიზნით, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად ვდებთ წინამდებარე ხელშეკრულებას შემდეგზე:

**მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი**

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია ,,სასკოლო აქტივობის ხელშეწყობის" პროგრამის ფარგლებში (პროგრამის კოდი 32 02 12) საკანცელარიო საქონლის (CPV 30100000) შესყიდვა ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურების სანაცვლოდ.

1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგნის დეტალური აღწერა მოცემულია დანართ №1-ში, რომელიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

**მუხლი 2. ხელშეკრულების საგნის ღირებულება**

2.1. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება შეადგენს 177,65(ასსამოცდაჩვიდმეტი ლარი და 65 თეთრი) ლარს.

2.2. ხელშეკრულების საგნის საერთო ღირებულება მოიცავს საქონლის შესყიდვასა და მიწოდებასთან დაკავშირებულ ანაზღაურებას, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა სახის გადასახადისა და მოსაკრებლის ჩათვლით.

**მუხლი 3. მიღება-ჩაბარება და ანგარიშსწორება**

3.1. საქონლის მიღება დასტურდება შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტით ან/და ანგარიშფაქტურით.

3.2. მიმწოდებელთან ანგარიშსწორება ხდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით, ეროვნულ ვალუტაში, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებაში მითითებულ საბანკო ანგარიშზე.

3.3. ანგარიშსწორება განხორციელდება საქონლის მიღება-ჩაბარების აქტის ან/და ანგარიშფაქტურის გაფორმებიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში.

**მუხლი 4. საქონლის მიწოდების ადგილი და ვადა**

მიმწოდებელი საქონლის მიწოდებას უზრუნველყოფს ხელშეკრულების დადებიდან 10 (ათი) დღის ვადაში შემსყიდველის მისამართზე (ქ.ლაგოდეხი,სოფელი კაბალი ).

**მუხლი 5. მხარეთა უფლება-მოვალეობები**

5.1. ხელშეკრულების თითოეულ მხარეს უფლება აქვს მოსთხოვოს მეორე მხარეს წინამდებარე

ხელშეკრულებიდან და მოქმედი კანონმდებლობიდან გამომდინარე მოვალეობათა კეთილსინდისიერი შესრულება.

5.2. მხარეები პასუხს აგებენ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის ან არაჯეროვანი შესრულებისათვის, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

5.3. მიმწოდებელი უფლებამოსილია მოსთხოვოს შემსყიდველს საქონლის ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.4. შემსყიდველი უფლებამოსილია მოსთხოვოს მიმწოდებელს საქონლის მიწოდება ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადებისა და პირობების დაცვით.

5.5. მიმწოდებელი ვალდებულია:

ა) ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას შეასრულოს ხელშეკრულებით დაკისრებული ვალდებულებები;

ბ) ხელშეკრულებით განსაზღვრული საქონლის ნაკლის/ხარვეზის აღმოჩენის შემთხვევაში უზრუნველყოს მისი შეცვლა ან ნაკლის გამოსწორება შემსყიდველის მხრიდან რაიმე დამატებითი ხარჯის გაწევის გარეშე;

## მუხლი 6. პირგასამტეხლო

6.1. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0.1%-ის ოდენობით, ხოლო ვალდებულების ნაწილის შეუსრულებლობის შემთხვევაში - ვალდებულების შეუსრულებელი ნაწილის 0.1%-ის ოდენობით.

6.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს დაეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ნაწილის 0.02%-ის ოდენობით.

## მუხლი 7. ფორსმაჟორი

7.1. მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია ფორსმაჟორით.

7.2. თუ ერთ-ერთი მხარე ფორსმაჟორის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, მან დაუყოვნებლივ, მაგრამ არაუგვიანეს 5 კალენდარული დღისა, უნდა აცნობოს მეორე მხარეს მისი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისი მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

7.3. მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლდება ფორსმაჟორის მოქმედების დასრულებისთანავე.

## მუხლი 8. ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა

8.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე.

8.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8.3. ხელშეკრულება შეიძლება შეწყდეს:

ა) მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე;

ბ) თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებას;

გ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში.

## მუხლი 9. დავების გადაწყვეტის წესი

9.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ყველა დავა გადაიჭრება ურთიერთშეთანხმებით. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავის გადასაწყვეტად მხარეები უფლებამოსილნი არიან მიმართონ სასამართლოს, საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

9.2. ხელშეკრულება დადებულია და მისი დებულებები განიმარტება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

## მუხლი 10. შეტყობინება

10.1. ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნებისმიერი შეტყობინება უნდა გაიგზავნოს წერილის სახით ან ფაქსის/ელექტრონული ფოსტის მეშვეობით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით.

10.2. შეტყობინება ძალაში შედის ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს.

## მუხლი 11. გადასახადები და დაბეგვრა

მიმწოდებელი პასუხისმგებელია საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადებისა და მოსაკრებლების გადახდაზე.

## მუხლი 12. ხელშეკრულების ენა

ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად. ერთი ეგზემპლარი ინახება მიმწოდებელთან, ერთი - შემსყიდველთან.

## მუხლი 13. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ ხელმოწერისთანავე და მოქმედებს 2018 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

## მუხლი 14. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„მყიდველი“

„შემსყიდველი“

„სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ კაბლის #1 საჯარო სკოლა“

---

საიდენტიფიკაციო კოდი N 233137904

მისამართი: სოფელი კაბალი

საკონტ./ტელ. ნომერი: 577 316 248

ლამარა ტაბატაძე
დირექტორი

---

„გამყიდველი“

„მიმწოდებელი“

შპს „პენსან ჯორჯია“
ქ. თბილისი, თამარ მეფის გამზ.N18
ს.ს. „ვი თი ბი ბანკი ჯორჯია“
ბანკის კოდი: UGEBGE22
ანგ. GE35VT6500000055555555
ს/კ N404870760
ს/ტ ნომერი: 2355844

გიგა გობიანიძე
დირექტორი

---

## დანართი N1 ხელშეკრულების საგნის აღწერა

1. შესყიდვის ობიექტია:

| № | დასახელება | განზომილების ერთეული | რაოდენობა | ერთეულის ფასი | საერთო |
|---|---|---|---|---|---|
| 1 | ფერადი ფანქარი 12ფერ. მპ-834010 | ცალი | 12 | 5.65 | 67.8 |
| 2 | გუაში 6 ფ 20 მლ luch CLASSIC (24) ლჩ-7868-6 | ცალი | 10 | 4.7 | 47 |
| 3 | ფლიფჩარტის ქაღალდი ფ-301-1 | ცალი | 2 | 6.5 | 13 |
| 3 | ფუნჯი 12 ცალიანი ფჯ-251-12 | ცალი | 3 | 1.75 | 5.25 |
| 4 | საშლელი მპ-119711 | ცალი | 24 | 0.45 | 10.8 |
| 6 | ფერადი ქაღალდი ევ-5070 | შეკვრა | 2 | 8.5 | 17 |
| 7 | დეკორატიული ქაღალდი დეკ-601-5 | ცალი | 11 | 1 | 11 |
| 8 | მაკრატელი მპ-468310 | ცალი | 2 | 2 | 4 |
| 9 | სტეპლერი დლ-1258 | ცალი | 1 | 1.8 | 1.8 |
| სულ ღირებულება | | | | | 147,65 |

დირექტორი: /გ.გობიანიძე/

„მყიდველი"

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფ კაბალის #1 საჯარო სკოლა
ს/ნ 233137904
დირექტორი: /ლ.ტაბატაძე/